

**განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, შეიზღუდა გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, აღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად დღის წესრიგში დადგა გადასახადის გადამხდელებისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების აუცილებლობა. მათ შორის, საგადასახადო შეღავათის დაწესება, ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისათვის გადასახადების გადახდის გადავადების შესაძლებლობა, დავის განმხილველი ორგანოებისათვის საჩივრების დისტანციურად განხილვის შესაძლებლობის დაშვება, ასევე საბაჟო პროცედურების გამარტივება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღება აუცილებელია ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების ფონზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით. აღნიშნული ხორცილდება საგადასახადო შეღავათის დაწესების, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის გადასახადების გადახდის გადავადების, დავის განმხილველი ორგანოებისათვის საჩივრების

დისტანციურად განხილვის შესაძლებლობის დაშვების, ასევე საბაჟო პროცედურების გამარტივების გზით.

ა. ზ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად ცალკეული გადასახადის გადამხდელებს უმსუბუქდებათ საგადასახადო ტვირთი, კერძოდ, წესდება ახალი საგადასახადო შეღავათები, იქმნება გადახდის გადავადების შესაძლებლობა, მარტივდება დავის წარმოებისა და საბაჟო პროცედურები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარების გამო, გამოიკვეთა საჩივრების დისტანციურად განხილვის მიზანშეწონილობა, ვინაიდან აუცილებელია სოციალური დისტანცირება და ადამიანთა შეკრების მაქსიმალური აღკვეთა, ხოლო მეორეს მხრივ კი გადამხდელთა ინტერესია, რომ დროულად შეძლონ დარღვეული ან/და სადავოდ ქცეული უფლებების რეალიზება, დავის განმხილველი ორგანოების ინტერესს კი წარმოადგენს, რომ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა საჩივრების განხილვა. ამდენად, კანონპროექტის მიღების შედეგად, შესაძლებელი გახდება, რომ გადასახადის გადამხდელებმა დისტანციურად, დავის განმხილველ ორგანოში მისვლის გარეშე მიიღონ მონაწილეობა საჩივრის განხილვის პროცესში.

2. კანონპროექტის თანახმად,:

- კიდევ ექვსი თვით, კერძოდ, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 თვის განმავლობაში, გრძელდება საშემოსავლო გადასახადში დაწესებული შეღავათის მოქმედება. კერძოდ, დამქირავებელი უფლებამოსილი ხდება ბიუჯეტში არ გადაიხადოს დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 42 ათასზე მეტ კომპანიაში დასაქმებულ 550 ათასზე მეტ პირს. საგადასახადო შეღავათის ოდენობა საშემოსავლო გადასახადში შეადგენს 270 მილიონ ლარს;

- 2020 წლის 1 დეკემბრიდან მომდევნო 6 კალენდარული თვის განმავლობაში გაგრძელდება ქონების იჯარის/ლიზინგის მომსახურების დღ-ით დაბეგვრის შესაძლებლობა შესაბამისი თანხის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს კომპანიებს თავიდან აირიდონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნა, რაც მძიმე ტვირთად დააწვება მათ ფინანსურ მდგომარეობას;
- 2021 წლის ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც ეწევიან ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016) კოდებით (ტურისტული სექტორი, სასტუმროები, რესტორნები და სხვა) გათვალისწინებულ საქმიანობას. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 1000-ზე მეტ კომპანიას, სადაც დასაქმებულია 30 ათასზე მეტი პირი. საგადასახადო შეღავათის ოდენობა ქონების გადასახადში შეადგენს 45 მილიონ ლარს;
- კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს (ტურისტული სექტორი, სასტუმროები, რესტორნები და სხვა), ეძლევათ უფლება ბიუჯეტში არ გადაიხადონ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 1000-მდე კომპანიას, სადაც დასაქმებულია 40 ათასამდე პირი. საგადასახადო შეღავათის ოდენობა საშემოსავლო გადასახადში შეადგენს 20 მილიონ ლარს;
- იქმნება შესაძლებლობა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში განლაგებულ სასტუმროებს, საურავის დარიცხვის გარეშე, გადაუვადდეთ 2020 წლის ნოემბრის და დეკემბრის საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვადა 2021 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ №322 დადგენილების მე-6 მუხლის 7¹ პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში არსებული სასტუმროების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ საკარანტინე სივრცეების მოწყობის მიზნით. გადასახადის გადავადება დადგენილ საგადასახადო შეღავათთან ერთად აღნიშნულ პერიოდში დაეხმარება კომპანიებს შეინარჩუნონ თანამშრომლები. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 100-ზე მეტ კომპანიას და გადავადებული გადასახადის ოდენობა შეადგენს 0,5 მილიონ ლარს.

3. წარმოდგენილი პროექტის მიღების შედეგად 2023 წლამდე იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხის (საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის) გაანგარიშება განხორციელდება მასში დამატებით კომპონენტების (იმპორტთან დაკავშირებული საფასურები, თანმდევი ხარჯები და სხვა) შეტანის გარეშე. აღნიშნული მიზნად ისახავს საბაჟო პროცედურების გამარტივებას, კერძოდ, ხსენებული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს შესაბამის ტექნიკურ/პროგრამულ აღჭურვილობას, მისი აღსრულება 2021 წლის 1 იანვრიდან ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პირობებში თითქმის შეუძლებელია, ხოლო ამ დროის განმავლობაში კი შესაძლებელი იქნება შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელებისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ ადეკვატური მექანიზმების დანერგვის უზრუნველყოფა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი, გარდა პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 131-ე ნაწილისა, მიზანშეწონილია ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან ამ ნორმებით ახალი საგადასახადო შეღავათები, იქმნება ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისთვის გადასახადის გადახდის გადავადების, ასევე დავის განმხილველი ორგანოებისთვის საჩივრების დისტანციურად განხილვის შესაძლებლობა.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 131-ე ნაწილი, მიზანშეწონილია ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164¹ მუხლის მე-2 ნაწილი და 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ხ“ ქვეპუნქტი, რომელთა გამოყენების ვადის გადადავადება ხორციელდება ამ ცვლილების შესაბამისად, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან.

ა.ე) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად შემცირებულია ეკონომიკური აქტივობა და კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კანონპროექტის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიღება, რათა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს მიეცეთ საგადასახადო ვალდებულების შესრულების გადავადების, ასევე საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი მოახდენს გავლენას სახელმწიფო და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. წარმოდგენილი ცვლილებებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები გამოიწვევს 2020 წლის დეკემბრის თვის საშემოსავლო გადასახადის 45 მილიონი ლარის ოდენობით შემცირებას, რომელიც დეკლარირდება 2021 წლის იანვრის თვეში, ხოლო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიწვევს საშემოსავლო ნაწილის შემცირებას დაახლოებით 290 მლნ. ლარით. კერძოდ:

- საშემოსავლო გადასახადის შეღავათი 1500 ლარამდე ხელფასის მქონე პირებზე - აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 42 ათასზე მეტ კომპანიაში დასაქმებულ 550 ათასზე მეტ პირს. საგადასახადო შეღავათის ოდენობა საშემოსავლო გადასახადში შეადგენს 225 მილიონ ლარს;
- ტურიზმის სექტორისთვის ქონების გადასახადის შეღავათი - აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 1000-ზე მეტ კომპანიას, სადაც დასაქმებულია 30 ათასზე მეტი პირი. საგადასახადო შეღავათის ოდენობა ქონების გადასახადში შეადგენს 45 მილიონ ლარს. ქონების გადასახადი ირიცხება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;
- ტურიზმის სექტორისთვის გადავადებულ საშემოსავლო გადასახადზე შეღავათი - აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 1000-მდე კომპანიას, სადაც დასაქმებულია 40 ათასამდე პირი. საგადასახადო შეღავათის ოდენობა საშემოსავლო გადასახადში შეადგენს 20 მილიონ ლარს;
- მიმდინარე წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეების საშემოსავლო გადასახადის გადავადების შესაძლებლობა ტურიზმის სექტორისთვის - აღნიშნული საგადასახადო შეღავათი შეეხება 100-ზე მეტ კომპანიას და გადავადებული გადასახადის ოდენობა შეადგენს 0,5 მილიონ ლარს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებითად იმოქმედებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება. ჯამურად, კანონპროექტით დადგენილი საგადასახადო შეღავათები შეეხება 600,000-მდე ფიზიკურ და იურიდიულ პირს თანხით 335 მილიონი ლარი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევს სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი: პარლამენტის წევრები დავით სონღულაშვილი, ბექა ლილუაშვილი, გოჩა ენუქიძე, მარიამ ქვრივიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: პარლამენტის წევრები დავით სონღულაშვილი, ზეჟა ლილუაშვილი, გოჩა ენუქიძე, მარიამ ქვრივიშვილი.